პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი
№ 249 (13941) | კვირა, 22 ოქტომბერი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღეს გადაწყვეტილება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავად 1967 წლის 6 ნოემბერს ქალაქ თბილისში სპორტის სასახლეში მოაწყონ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გაერთიანებული საზეიმო სხდომა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1967 წლის 21 ოქტომბრის დადგენილება

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავად სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს სამახსოვრო დროშით დაჯილდოების შესახებ

აღნიშნავენ რა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის დამსახურებას იმ დიდ წარმატებათა მიღწევაში, რომლებიც მოპოვებულია სამამულო მეცნიერების და ტექნიკის განვითარებასა და ჩვენი ქვეყნის მეცნიერული კადრების მომზადების საქმეში, სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და საბჭოთა კავშირის პროფესიულ კავშირთა ცენტრალური საბჭო ადგენენ:

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავად სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია დაჯილდოვდეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს სამახსოვრო დროშით.

სამახსოვრო დროშა სამუდამოდ დარჩეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში როგორც სიმბოლო კოლექტივის შრომითი მამაცობისა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და საკავშირო პროფსაბჭო გულითად მადლობას უძღვნიან სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მუშაკთა მრავალრიცხოვან კოლექტივს, რომლებიც დირსეულად ასრულებენ დიდ და პასუხსაგებ ამოცანებს, და მოუწოდებენ მეცნიერებს, მუშებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებსა და მოსამსახურეებს კიდევ უფრო აიყვავონ მოწინავე საბჭოთა მეცნიერება, მეტი წვლილი შეიტანონ საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებათა განვითარებაში, ტექნიკურ პროგრესსა და ჩვენი ქვეყნის კულტურის განვითარებაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ლ. ბრეჟნევი	სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი	სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. კოსიგინი

საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე
ა. შელეპინი

შრომითი მამაცობის სიმბოლო

სამახსოვრო დროშები — დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავი შეჯიბრების გამარჯვებულთ

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭოს პრეზიდიუმმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საბჭოთა კავშირის პროფესიულ კავშირთა ცენტრალურმა საბჭომ 1967 წლის 21 ოქტომბერს მიიღეს დადგენილება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული საწარმოების, ორგანიზაციების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების კოლექტივთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს სამახსოვრო დროშებით დაჯილდოების შესახებ.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სამახსოვრო დროშებით ჯილდოვდებიან საწარმოების, ორგანიზაციების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების კოლექტივები, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს კომუნისტურ მშენებლობაში და საუკეთესო შედეგები მოიპოვეს საყოველთაო სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებაში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის. სამახსოვრო დროშები სამუდამოდ რჩებათ კოლექტივებს როგორც სიმბოლო მათი შრომითი მამაცობისა.

სამახსოვრო დროშებით დაჯილდოებულია საწარმოების, ორგანიზაციების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების კოლექტივთა დიდი ჯგუფი.

სრული სია ქვეყნდება გაზეთებში: „პრავდა“ და „იზვესტიაში“.

დადგენილებაში, რომელსაც ხელს აწერენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ნ. ვ. პოდგორნი, ა. ნ. კოსიგინი და ა. ნ. შელეპინი, ნათქვამია, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და საკავშირო პროფსაბჭო გულითად მადლობას უხდიან საწარმოების, ორგანიზაციების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ყველა კოლექტივს, რომლებმაც შეასრულეს დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებანი, და მოუწოდებენ მუშებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებს, მოსამსახურეებს, კოლმეურნეებს, მეცნიერებისა და კულტურის მუშაკებს განაგრძონ სოციალისტური შეჯიბრება წარმოების გეგმების ვადამდე შესრულებისათვის, ახალი ტექნიკის დანერგვისათვის, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის, ახალი საწარმოო სიმძლავრეების სრულად ათვისებისათვის, აგრეთვე შრომის ნაყოფიერების ზრდის სწრაფი ტემპის მიღწევისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირებისათვის, ნედლეულის, სათბობისა და მასალების დაზოგვისათვის, რათა ვადამდე შეასრულონ სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა და შრომითი წარმატებები ღირსეულად შეხვდნენ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავს.

სურათებზე: სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და პროფსაბჭოს მიერ დაწესებული სამახსოვრო დროშის წინა (ზემოთ) და უკანა მხარეები.

საკდესის ფოტოქრონიკა.

ჩვენი ქვეყნის მეცხოველეთა ნარეკეტება

სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

იბრძვიან რა საყოველთაო სახალხო ღონისძიების — დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, სოფლის მეურნეობის მშრომელებმა წარმატებით შეასრულეს რძის, ხორცის, კვერცხისა და მატყლის შესყიდვის წლიური გეგმა.

სახელმწიფოს მიეყიდა 36,2 მილიონი ტონა რძე, ანუ 2 მილიონი ტონით მეტი, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში; პირუტყვი — 9,2 მილიონი ტონა, ანუ 1,3 მილიონი ტონით მეტი; კვერცხი — 11,3 მილიარდი ცალი ანუ თითქმის იმდენივე, რამდენიც შესყიდული იყო მთელ 1966 წელს; მატყლი — 399 ათასი ტონა, ანუ მეტი, ვიდრე რომელიმე წინა წელს.

მეცხოველეობის პროდუქტების შესყიდვა გრძელდება.

მოსკოვი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1967 წლის 4 იანვრის დადგენილებით დაწესებული როგორც შრომითი მამაცობის სიმბოლოები სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს სამახსოვრო დროშები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავად.

სამახსოვრო დროშები ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამების შემდეგ სამუდამოდ შესანახავად რჩება იმ სამრეწველო საწარმოების, სამშენებლო ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივებში, რომლებმაც თავიანთ ვალდებულებათა შესრულებაში ყველაზე კარგ შედეგებს მიაღწიეს.

• • •

სურათებზე: სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და პროფსაბჭოს მიერ დაწესებული სამახსოვრო დროშის წინა (ზემოთ) და უკანა მხარეები.

თვითმოქმედი ხელოვნების სრულიად საკავშირო ფესტივალის დასკვნითი კონცერტი

მურმანსკიდან ბაღრა ამურამდე, ჩუკოტკის ტუნდრიდან ცისფერ დნეპრამდე — ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხეში ორ წელიწადს მიმდინარეობდა თვითმოქმედი ხელოვნების სრულიად საკავშირო ფესტივალი დიდი ოქტომბრის 50. წლისთავის აღსანიშნავად. 11 მილიონზე მეტი სცენისმოყვარე მონაწილეობდა სახალხო ტალანტთა ამ შესანიშნავ დღესასწაულში, რომლის უბრწყინვალესი ფინალი გადაიქცა ბოელი ჩვენი თვალუწვდენელი ქვეყანა.

ამ გრანდიოზული დათვალიერების ფინალი იყო დიდი სახელმწიფო კონცერტი, რომელიც მოსკოვში გაიმართა 20 ოქტომბერს. კრემლის ყრილობათა დარბაზი მკუთხარე ტაშით ხვდებოდა ჩვენი სამშობლოს ხალხთა წარმომადგენლებს — ს

ოქტომბრის მზის ქვეშ!

ფრონტული
ბიულეტენი

სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილება ქვნის ადამიანთა მორალურ და მატერიალურ დაინტერესებას შრომის ნაყოფიერების გადიდებით, მათი უნარისა და ნიჭის განვითარებით, მისწრაფება — გააკეთონ საზოგადოებისათვის რაც შეიძლება მეტი და უკეთ — მკაფიო გამოხატულებას კოულობს მასობრივი სოციალისტური შეჯიბრებით, კომუნისტური შრომისათვის მოძრაობით...

სკკპ ცენტრალური კომიტეტის უფლისებიდან „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წელი".

საიუბილეო შეჯიბრების ინიციატორებთან

მეტყველი ციფრები

იქისრეს, შეასრულეს

1966 წელს

	სახელმწიფოსათვის უნდა მიეყიდათ:		ფაქტიურად მიაყიდეს	
მარცვლეული	— 5.050	ტონა	7.112	ტ.
უურძენი	— 10.630	ტონა	15.914	ტ.
ბოსტნეული	— 1.540	ტონა	1.544	ტ.
ხილი	— 638	ტონა	658	ტ.
ხორცი	— 1.845	ტონა	2.085	ტ.
რძე	— 3.920	ტონა	4.053	ტ.
კვერცხი	— 2.510.000	ცალი,	2.727.000	ცალ.
აბრეშუმის პარკი	— 530	ცნტ.	534	ცნტ.

1967 წელს

	სახელმწიფოსათვის უნდა მიეყიდათ:		ფაქტიურად მიაყიდეს	
მარცვლეული	— 5.050	ტონა	7.200	ტ.
უურძენი	— 11.592	ტონა	13.079	ტ.
ბოსტნეული	— 1.600	ტონა	1.852	ტ.
ხილი	— 786	ტონა	788	ტ.
რძე	— 3.970	ტონა	4.247	ტ.
კვერცხი	— 2.500.000	ცალი,	2.674.000	ცალ.
აბრეშუმის პარკი	— 530	ცნტ.	588	ცნტ.

ასე იშვა თავისუფლება

ბრძოლისა და შრომის განვლილ წლებს რომ ვიგონებ, პირველ ყოვლისა მახსენდება, თუ როგორ დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება მაშინდელ სოფლიის მაზრაში.

ეს არ იყო უეცარი და მოულოდნელი რამ. ეს ბრძოლი რიგი წლების მანძილზე მზადდებოდა. თავისუფლებისათვის ბრძოლის მთელი პერიოდი ალსავსე იყო აჯანყებებით, ძლიერი პროტესტებით არსებულ წყობილების წინააღმდეგ.

1919 წლის დეკემბერში „ჭალიანთ გუბეზე" გაიმართა აჯანყებულ გლეხთა თათბირი. აჯანყებამ შეაშფოთა სამაზრო მმართველობა. ამ აჯანყების ხელმძღვანელები და ოქტიური მონაწილენი იყვნენ აწ გარდაცვლილნი: მ. ვარამაშვილი, ხ. ჭიტაშვილი, გ. მეესაბლიშვილი, ა. მირიანაშვილი, ი. ჩერქეზიშვილი, თ. ვარამაშვილი, ვ. ხირსელი, მ. დარჩიაშვილი, ე. ნონეშვილი, შ. ბეჟანეშვილი, ს. სულაშვილი, კ. გოგოლაშვილი, მ. სისოევი, ვ. ნიკოლაიშვილი, აგრეთვე ჩვენი დღეების ცოცხალი მოწმენი გიორგი მირიანაშვილი, ვანო ბაბალაშვილი და გიგა კუდაშვილი.

რეკოლექციური აღშფოთება უფრო გამძაფრდა 1920-1921 წლებში...

მთელ სიღნაღის მაზრას უდიდესი სიხარულით მოეფინა ცნობა, რომ 1921 წლის 25 თებერვალს თბილისზე აფრიალდა საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა.

იმავე დღეს, 25 თებერვალს სამაზრო ცენტრში სიღნაღში გაიმართა გრანდიოზული ბოლშევიკური მიტინგი. ყველგან გასაოცარი და სიხარული ძველი ცხოვრების გალავანს აზანზარებდა ხალხის გულის ამოძახილი:

— გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!

საქართველოს რევკომის წევრების შ. ელიავას, ფ. მახარაძის, ა. გეგეჭკორის, ა. ნაზარეტიანის, მ. ორახელაშვილის მითითებით მთელ მაზრაში სწრაფად გაჩაღდა ახალი ცხოვრების მშენებლობა. ადგილებზე ხელმძღვანელობისათვის შეიქმნა რევკომები, მახსოვს, ნუკრიანის რევკომის თავმჯდომარე იყო ს. შაიმელაშვილი, ხოლო ტიბაანისა — მ. პაპალაშვილი.

ჩვენს აღფრთოვანებას საზღვარი არა ჰქონდა. მაგრამ გვაკლდა რაღაც საყვარის მსგავსი რამ. და ჩვენ, მაზრის კომუნისტებმა შეეკმენით საჯარო ტრიბუნა — კომუნისტური პრესის პირშო გაზეთი.

პირველი გაზეთი, რომელსაც ვუწოდეთ „ახალი გზა", გამოვიდა 1921 წლის პირველ მაისს. შემდეგ სხვადასხვა დროს მას ერქვა „კომუნა", „ეჭიზიყის კომუნა", „სიმართლე კახეთისა", „სიმართლე", ბოლოს კი, — 1931 წლიდან, — დაერქვა „კოლმეურნე", რომელიც დღესაც ჩვენი რაიონის მშრომელთა კეთილი მრჩეველი და მეგობარია.

ოქტომბრის ნამდვილი განთიადია ალაზანის ველზე. სრულიად გარდაიქმნა ჩვენი რაიონის ქალაქები და სოფლები, აღიზარდნენ ახალი ადამიანები, მამაცურად რომ შრომობენ საიუბილეო წელს. და მეც მიხარია, რომ ასე გულსავსედ ხვდება ჩვენი რაიონი სოციალისტური სამშობლოს ნახევარსაუკუნოვან იუბილეს.

ილია მჭედლიშვილი,
სკკპ წევრი 1918 წლიდან.

რანი ვიყავით, რანი ვართ

დ. გელაშვილი,
საქართველოს კპ სიღნაღის რაიკომის პირველი მდივანი

ვიდრე ამ სტატიას დავწერდი, ერთხელ კიდევ შემოვიარე ჩვენი რაიონის სოფლები ანაგა და ვაქირი, ბოდბე და ბოდბისხევი, ტიბაანი და ძველი ანაგა, ქვემო მაჩხაანი და ჯუგაანი, მაღარო და ნუკრიანი... ყველგან დიდი ოქტომბრის საიუბილეო მზადების სუნთქვა იგრძნობა.

ხელახლა, ახე ვთქვათ, თითქოს ახალი თვალით დავინახე ბარაქის მომცემი ველ-მინდვრები, ბაღ-ვენახები, საკოლმეურნეო ცხოვრების სასიამოვნო სიახლენი: სარწყავი არხები და წყაროები, სკოლები, კლუბები და კულტურის სახლები. ბევრგან მშენებლობათა ხარაჩოები. ისინი პლაკატებით, ლოზუნგებით, ხეივნებში მდგარი ლამაზად გაფორმებული სტენდებით ესაუბრებიან ახალ ცხოვრებაზე მნახველებს.

შევხვდი პარტიისა და სამამულო ომის ვეტერანებს, შრომისმოყვარე, მკლავმოღლილ გლეხებს, გამრჯე მუშა ხალხს.

...ჩვენი გლეხობა, ჩვენი მუშა-ხალხი... „...ესენი არიან ჩვენი მუხის — საქართველოს ფესვები, ესენი ამზადებენ იმ საკვებავ წვენს, რომლითაც საზრდო და ღონე ეძლევა მუხის მთელ ტანს. ამათი მეოხებით იმოსება ხე ფოთლებით, ყვავილებით და მოაქვს ნაყოფი... ხე არ კვდება, თუ ფესვები მაგარი ღონიერი აქვს.

და აი სწორედ ამ ფესვებს უნდა მოვუაროთ ჩვენც. ამ მდაბიო ხალხისათვის, მუშა-გლეხობისათვის უნდა ვიზრუნოთ..."

დიდი ილია ამ სტრიქონებს წერდა რამდენიმე ათეული წლის წინათ. დღეს სწორედ ეს მდაბიო ხალხი ოქტომბრის მადლითა და სიკეთით პარტიისა და მთავრობის მზრუნველობით აშენებს ახალ ცხოვრებას, სასწაულებს ახდენს მინდვრად. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ მოუტანა ქიზიყელ გლეხს ნამდვილი თავისუფლება, მისცა მიწა და გადაუშალა შემოქმედებითი შრომის სარბიელი.

რანი ვიყავით და რანი ვართ?

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე სიღნაღის მაზრა მოიცავდა ახლანდელი სიღნაღის, წითელწყაროს, ლაგოდეხისა და ნაწილობრივ საგარეჯოსა და გურჯაანის რაიონებს. იგი იყო ერთ-ერთი ჩამორჩენილი კუთხე სუსტად განვითარებული სოფლის მეურნეობით და ნურილ-ხელოსნური წარმოებით.

ქიზიყის მოსახლეობის თითქმის უმრავლესობას არ ჰყავდა ძროხა, ხოლო მოსახლეობის 72,2 პროცენტს — თვით მუშა პირუტყვი და ცხენი.

მთელ ამ ვეებერთელა მაზრას მომსახურებას უწევდა სიღნაღში არსებული ქალთა და ვაჟთა მხოლოდ ორი სასწავლებელი. ხშირად მთელ ათასკომლიან სოფელში ათსა და ოც წერა-კითხვის მცოდნე კაცს ვერ შეხვდებოდით.

ადვილი წარმოსადგენია, როგორი მომსახურება უნდა გაეწია მაზრის მოსახლეობისათვის ოთხ ექიმს და ექვს ხაშუალო შედმუშაკს, აგრეთვე ორ ტყავისგამომყვან, ერთ სანსისახარშ, ექვს თბილ ბურჯელისა და 26 ჭიქის გამრსახდელ უბადრუკ სახელოსნოს.

დღეს აი დღეს დიად იუბილეს სიღნაღის რაიონი ხვდება განვითარებული სოფლის მეურნეობით და ახალგაზრდა მრეწველობით. რაიონს სახელმწიფოსაგან უკვდო და უსახეიდლო სარგებლობაში გადაეცა 167.250 ჰექტარი მიწა, რითაც ასრულდა მშრომელი გლეხის სანუკვარი ოცნება — ეშოვნა თავისთვის, უფიმამულოდ. ამ მადლიან მიწას ფლობს 14 კოლმეურნეობა და ოთხი საბჭოთა მეურნეობა.

წლითიწლობით მაღლდება მიწათმოქმედების კულტურა. ამას ხელს უწყობს მძლავრი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. ამჟამად კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მუშაობს 391 ტრაქტორი, 100 კომბაინი, 349 ავტომანქანა.

მეცენატეობის შემდგომი განვითარება ნათლად აისახება შემდეგ ციფრებში: 1953 წელს ვენახებს ეჭირა 1.148 ჰექტარი, საიუბილეო წელს კი 3.100 ჰექტარი უჭირავს. საზოგადოებრივი ვენახებიდან გასულ წელს ყურძნის საერთო მოსავალმა 78.046 ცენტნერი შეადგინა, ანუ ხაშუალო მოსავალმა ჰექტარზე 40,1 ცენტნერს მიაღწია. წელს ყურძნის მაღალი ხარისხიანი მოიყვანეს ტიბაანისა და ხირსის საბჭოთა მეურნეობებმა, ბოდბისა და ნუკრიანის კოლმეურნეობებმა. ახლა საზოგადოებრივი ვენახებიდან ყურძნის საერთო მოსავალმა 10.000 ტონა შეადგინა.

მარცვლეულის წარმოების გადიდებისათვის ბევრი რამ კეთდება. წელს მარცვლეულის უხვი მოსავალი მიიღეს სოფელ ნუკრიანის „პარიზის კომუნის", სოფელ ულიანოვკის ულიანოვის, სოფელ ბოდბის კალინინის სახელობისა და სოფელ მაღაროს კოლმეურნეობებმა.

დამახასიათებელია ნუკრიანის კოლმეურნეობის მაგალითი. აქ № 2 ბრიგადას ხელმძღვანელობს თვით პარტორგანიზაციის მდივანი კ. მაზიაშვილი. ბრიგადამ 220 ჰექტარი ხორბლის ნათესიდან ხაშუალოდ ჰექტარზე მიიღო 27,47 ცენტნერი მარცვალი, ხოლო 26 ჰექტარი ხორბლის ნათესის ყოველ ჰექტარზე 35,5 ცენტნერი. ასეთივე მაღალი მაჩვენებლები აქვთ ხორბლისა და ქერის მოსავლიანობაში ი. ხუნაშვილის (ბოდბე), გ. ჯანყარაშვილის (ქვემო მაჩხაანი), თ. ხმალაძის (მაღარო) მემინდვრეობის ბრიგადებს.

სარწყავი სისტემაზე, რაც საბჭოთა ხელისუფლების პირველი ნაბიჯია და დიდი ლენინის მითითების განხორციელებას წარმოადგენს, ჩვენი მშრომელი ხალხის მარჯვენა ხელია. რაიონის სარწყავი მიწები 25.021 ჰექტარზეა გადაჭიმული.

ალაზნის მაგისტრალური არხის სიგრძე სიღნაღის რაიონის ტერიტორიაზე 49 კილომეტრია, რითაც 24 ათასი ჰექტარი მიწა ირწყვება. დიდი გამოყენება აქვს ივრის მაგისტრალურ არხს, რომელიც ჩვენს ტერიტორიაზეა 18 კილომეტრზე. აგას თუ მივუმატებთ შიდასამეურნეო სარწყავ ქსელს, ნათელი გახდება როგორ ზრუნავს საბჭოთა ხელისუფლება ხალხის კეთილდღეობის ამაღლებისათვის, მოსავლიანობის გადიდებისათვის.

მრავალ მეურნეობათა შორის ალაზნისა და ივრის სარწყავ წყალს გონივრულად იყენებენ ბოდბის კალინინის და ქვემო მაჩხაანის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობები. აქ ამ საქმის ენთუზიასტები არიან თვით კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები: ვლ. ჯანიაშვილი, გ. შანშიაშვილი; აგრონომები: გ. ხუნაშვილი, შ. ყანდაშვილი; აგრომელიორატორები: უ. ნასყიდაშვილი, შ. მჭედლიშვილი; მრწყველები: ჰ. მანგოშვილი, ო. მაკარაშვილი, რ. მანგოშვილი, შ. ჭუჭულაშვილი, შ. ივანიშვილი და ზ. ჯანყარაშვილი.

საზოგადოებრივი მეცხოველეობა აღმავლობის გზაზეა. ამის კვალობაზე ყოველწლიურად იზრდება სახელმწიფოსათვის მიყიდული პროდუქტების რაოდენობა. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები პატრიოტულად იხდიან თავიანთ ვალს სამშობლოს წინაშე. ამ საქმეში თვალსაჩინო როლს ასრულებენ პარტორგანიზაციები.

რაიონის ერთ-ერთ უდიდეს სასოფლო-სამეურნეო არტელში ბოდბისხევის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმებში 1.270 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვია, 14.381 სული ცხვარი, 2.021 სული ღორი და 11.361 ფრთა ფრინველი.

ნამატს (ბატკანი, ბოკი) მიღებაში დიდი წარმატებები აქვთ მეცხოველეებს შ. მანჯაფარაშვილს, ი. ოტიაშვილს, ვ. შალვაშვილს, გ. მაზიაშვილს (ნუკრიანი), გ. დარჩიაშვილს (ანაგა), კ. ნასყიდაშვილს (საქობო), ი. ღვედაშვილს (ძველი ანაგა), ს. მილაშვილს (ბოდბისხევი) და ა. ვორობიოვს (ულიანოვკა).

და ყოველივე ის, რაც გაკეთდა და კეთდება, რამაც ასე სასიხარულოდ შეუცვალა სახე მინდვრებსა თუ ვენახებს, რაიონულ ცენტრს, ერთ რაიონში არსებულ ორ ქალაქს და სოფლებს — ჩვენი ადამიანების თავისუფალი შრომის შედეგია. ამიტომ იბადება, ჩნდება ახალ-ახალი პატრიოტული თაოსნობა.

ჩვენი ერთ-ერთი ინიციატივა, რომელიც დიადი თარიღის — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს მიეძღვნა, გულისხმობს იმას, რომ რაიონის მშრომელებმა **ხუთწლიდის დავალებანი ოთხ წელიწადში** შეასრულონ, ხოლო **საიუბილეო წლისა — 7 ნოემბრამდე.**

ამ ინიციატივას, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა, პრაქტიკული შედეგებიც მოჰყვა. შარშან, ხუთწლედის პირველ წელს, გადაჭარბებით შესრულდა სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიყიდვის დავალებანი. დღეისათვის გადაჭარბებით არის შესრულებული მარცვლის, უურძნის, ხილის, ბოსტნეულის, რძის, კვერცხის დამზადების წლიური გეგმები.

მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაში აქტიურად მონაწილეობს 108 პირველადი პარტიული ორგანიზაცია, რომელიც 2.407 კომუნისტს აერთიანებს. ყოველდღიურად პარტიის მართალი სიტყვა ხალხში მაჰქვს 1.200-ზე მეტ აგიტატორსა და პოლიტინფორმატორს. მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა კიდევ უფრო გაძლიერდა და მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისები. ამ მუშაობის კარგი გამოცდილება შეიძინეს ნუკრიანის „ლენინის ანდერძის", ბოდბის კალინინის სახელობის, მაღაროს, ჯუგაანისა და სხვა კოლმეურნეობათა პარტიულმა ორგანიზაციებმა.

ბევრგან შინაარსიანად ეწყობა საბრძოლო და შრომითი დიდების საღამოები, ხალხი ადიდებს იმათ, ვინც პატიოსანი შრომითა და სწავლით გაითქვა სახელი.

ახლეობი კი ჩვენს რაიონში მრავლად არიან. ეი ზოგიერთი მათგანიც: სოციალისტური შრომის გმირები: ივანე ბაიდოშვილი, ვლადიმერ ხუცურაული, ზაქარია ბუჭულაშვილი, ალექსი კიკლაშვილი, ბაგრატ უსენაშვილი, მიხეილ ნაგროზაშვილი, გოგი კუტიბაშვილი, ფიფო მჭედლიშვილი, ალექსი კუტიბაშვილი, აგრეთვე მორნავეები ნუკრიანის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის" მეევნახე ბრიგადირი უ. ბეჟანეშვილი, ბოდბის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი მ. ჩუთლაშვილი, გ. ღირსაშვილი, ვ. აბუასშვილი, გ. შენკენაშვილი, უ. ბეგიაშვილი, პ. დანილოვი, ა. მაზიაშვილი, ტ. მანგოშვილი, მ. დიერაშვილი და სხვები.

გვყავს სამამულო ომის, პარტიისა და კომკავშირის ვეტერანები, დამსახურებული მასწავლებლები, ექიმები, რომლებიც თავდადებით ემსახურებიან ხალხს. მათ შორის უნდა დავასახელო ილია მჭედლიშვილი — პარტიის წევრი 1918 წლიდან, გიგა მირიანაშვილი, ნინო ოტიაშვილი, იოსებ მირიანაშვილი, მართა ტყავაძე... მათი თავდადებული შრომა, მთელი მათი ცხოვრება საუკეთესო მაგალითია ჩვენი ახალგაზრდობისათვის.

კანონიერი სიამაყის გრძნობით აღგვავსებს ის, რომ პარტიისა და მთავრობის მზრუნველობით, უურადღებით ჩვენი რაიონიდან აღიზარდნენ სახელოვანი ადამიანები აკადემიკოსი ავლიანი ზურაბაშვილი, პროფესორები თედო ბეგიაშვილი, ალექსანდრე გზირიშვილი, გიორგი გოზალიშვილი, შალვა გოზალიშვილი, გიორგი მესტიაშვილი, გიორგი პაპალაშვილი, ელენე ნანობაშვილი, ალექსანდრე გოცირიძე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვასო გოძიაშვილი, მწერლები: სანდრო შანშიაშვილი, სიმონ ფაშალიშვილი. კომპოზიტორები: სანდრო მირიანაშვილი, ბიძინა კვერნაძე, მიხეილ ჩირინაშვილი; დოქტორები: ვლადიმერ სიფრაშვილი. ვლადიმერ ლოლაშვილი, ბეჟან ხარაზიშვილი.

ჩვენ მოწიწებით და ღრმა მადლობის გრძნობით ვიხსენებთ იმ ადამიანებს, რომლებმაც ქიზიყში აიდგეს ფეხი, დიდი ცხოვრების გზაზე გავიდნენ და გაამდიდრეს ქართველი ხალხის სულიერი კულტურა, გონებრივი სალარო. ესენი იყვნენ: სოლომონ დოდაშვილი, ვასო სარაჯიშვილი, ივოდიონ ევდოშვილი, მიხეილ ნანობაშვილი, სანდრო ინაშვილი, მიხეილ ახათინი, ილო მოსაშვილი, სანდრო ახმეტელი, დიმიტრი მაჩხანელი, მიხეილ და ზაქარია ჩოდრიშვილები.

ამამთა სახელოვან ტრადიციას საბჭოთა ხელისუფლების წლებში ფრთები შეესხა. სწავლა-განათლების საქმეს რაიონში ემსახურება 778 მასწავლებელი, რომლებიც 31 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ასწავლიან 8.887 მოსწავლეს, ზოოვეტერინარული ტექნიკუმი, მუსიკალური სასწავლებელი, სპორტული და ორი მუსიკალური სკოლა.

18 საკლუბო და საკოლმეურნეო ბიბლიოთეკაში 254.315 წიგნია. სარაიონო ბიბლიოთეკის მკითხველთა განკარგულებაშია 27.530 წიგნი. ამჟამად რაიონში უმაღლესი განათლება აქვს 2.112 კაცს, საშუალო განათლება — 7.588-ს. ბევრია მრავალდისციპლინიანი ოჯახები. ამაზე რომ ვსაუბრობდით, ერთმა ამხანაგმა თქვა, მალე ერთდისციპლინიანი ოჯახი ალბათ საძებარი გახდებაო.

ჩვენი ხალხის ყოფაცხოვრებაში მტკიცედ დამკვიდრდა ტელევიზორი, რადიომიმღები, მაცივარი, პიანინო, სხვა ძვირფასი ავეჯი, წიგნი და უურნალ-გაზეთი. ერთი მაგალითი: წელს ჩვენს რაიონში გავრცელებულია 53.500 ეგზემპლარი უურნალ-გაზეთი, ანუ ყოველ 1.000 სულზე 282 ცალი.

ჩვენს რაიონში ნაყოფიერად მუშაობენ რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების ფილიალები — მიწათმოქმედების საკვლევი ინსტიტუტის კახეთის საცდელი სადგური (ულიანოვკაში), მელიორაციის ინსტიტუტის საყრდენი პუნქტი (ნნორში) და ალაზნის საცდელი სამელიორაციო სადგური.

როცა წარმატებებზე, ოქტომბრის იუბილესათვის ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაზე ვლაპარაკობთ, ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ ვ. ი. ლენინის მითითება, რომ ყოველი იუბილეს აღნიშვნის საუკეთესო წესია უურადღება დავუთმოთ ჯერ კიდევ გადაუჭრელ პრობლემებს. ასეთი პრობლემები, საკმაოდ აქა არის. პარტიის რაიონული კომიტეტი პირველადი პარტიული ორგანიზაციების, კომუნისტების, ყველა მშრომელის უურადღებას წარმართავს იქეთკენ, რომ სრულვყოთ მუშაობა, დავაწინაუროთ ჯერ კიდევ ჩამორჩენილი მეურნეობები, ბრიგადები, ფერმები, უფრო სრულად ავამოქმედოთ გამოუყენებელი შესაძლებლობანი და რეზერვები.

სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე მშრომელთა კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდა, მათი შეიარაღება მარქსისტულ-ლენინური თეორიით ახალ წარმატებათა მოპოვების დაუშრეტელი წყაროა.



სურათზე: სიღნაღის სახვითი ხელოვნების მუზეუმი.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

ნახევარი საუკუნის კომენტარები

ასე იყო

რუდესაც მივუახლოვდი ქ. სოღნაღს, ანუ მის განაპირა კუთხეს — ნუკრიანს, გზის შესამოკლებლად გავეშურე ანაგის ხეივანკენ. ღამე ბნელი და ქარიანი იყო. არ გადამიდგამს საფოსტო გზიდან ორმოცი-სამოცი ნაბიჯი, რომ გადაკოტრიალდი უშველებელ ხეში, ჯოჯოხეთის უფსკრულში ამოვყავი თავი...

ვიავგლახით და ბობღვით მიგიცოდი ამ ადგილას, სადაც სანთელი ბეუტავდა. ერთ დიდ ამოკვაბულში მოგროვილიყო ორმოცამდე გოგო-ბიჭები, ბერიკაცები, ბანდოლსნები — ფეხშიშველა, დაგლეჯილ-დაფლეთილები, ზოგი სიცივისაგან კანკალებდა და ტიროდა, ზოგი ილანძღებოდა, ზოგი იწყევლებოდა, ზოგი ერთმანეთს წყლის ჯერს ეცილებოდა და გაქრობდა კოკებს რასარუი...

წყაროს მაგიერ ერთ ჭაპარა დაჟანგებულს „ეფტის" ნაჭერზე გულსარევად გადმოწანწყარიდა ამღვრეული ყაყოლიანი წყალი. ნუკრიანში ამნაირი წყაროს ქონა ხომ სიცრცხვილია და ხალხის აბუზად აგდებად უნდა ჩაითვალოს... რისთვის იტანჯება ეს ძვალტყავად ქცეული ხალხი და როდის მოეღება ბოლო ამ უკულმართობას?

„ხმა კახეთისა", 1912 წ. ოქტომბერი.

ასეა დღეს

დიახ, ასე იყო ნახევარი საუკუნის წინათ. სიბნელით მოცული სოფლები არც სასმელი წყალი ჰქონდათ, არც გზა, არც უურნალ-გაზეთები. სცოოდათ, შიოდათ.

ეროვლხარო თქვენ ახლა სოფელ ნუკრიანში? ძველსა და ახალს შორის ისეთი განსხვავებაა, როგორც დღესა და ღამეს შორის.

თავისუფალი შრომის შედეგად გაიფურჩქნა ნუკრიანის ორი კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძი" და „პარიზის კომუნა". მისი შემოგარენი გადაჭიმულია 165 კვადრატულ კილომეტრზე. თითქმის რვა კილომეტრზეა გაშენებული ნუკრიანი, რომლის შუაში გამავალი მოასფალტებული გზის ორივე მხარეზე კოპწია სახლები ბალებშია ჩაფული.

1.067 კომლი უზრუნველყოფილია სასმელი წყლით, რომელიც გამოვიყვანეთ ანაგის ხევის სათავიდან — „კარდიახიდან", ცივის კალთებზე რომ მდებარეობს. ჩვენს სოფელში ვრცელდება 2.222 ეგზემპლარი ეფტა და ტელევიზორი. ბევრ ოჯახს ელექტრონული ტაბლეტი აქვს

დიდი ოქტომბრის წიგნადღეები

ვ. ი. ლენინი ბრიმსა და პარიკაში. 1917 წელი.

ისტორიაში ცნობილია მრავალი დიადი მოვლენა, რომლის შესახებ ამბავი თაობიდან თაობას გადაეცემა. მაგრამ მათ შორის არც ერთს არ მოუხდენია ისეთი ძლიერი გავლენა წაოფლიოს განვითარებაზე, როგორიც დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მოახდინა.

მას შემდეგ ხუთი ათეული წელი გავიდა.

ეს საუკუნეთა საკმარისი დროა იმისათვის, რომ შეფასდეს ამ მოვლენის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა. მან შემოაბრუნა მთელი კაცობრიობის ბედი. დაიწყო ახალი ერა კაცობრიობის ისტორიაში. ძნელია ახლა იპოვნო დედამიწაზე ადამიანი, რომელმაც არ იცოდეს და არ გაგიგოს ოქტომბრის რევოლუციის შესახებ, მისი გენიალური ბელადის ლენინის შესახებ.

ხვალ სრულდება 50 წელი მას შემდეგ, რაც 1917 წლის 10 (23) ოქტომბერს გაიმართა რსდმპ (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის ისტორიული სხდომა, სადაც მიიღეს გადაწყვეტილება შეიარაღებული აჯანყების შესახებ.

ისტორიული სხდომა

1917 წლის 10 (23) ოქტომბერი

წინასწარ შეთანხმებული ზარის წკრიალით.

შეიარაღებული აჯანყების ცენტრალური კომიტეტის წევრები: სტალინი, სვერდლოვი, ძერჟინსკი, ურიცკი, ბუბნოვი, კოლონტაი და სხვები, სულ 12 ამხანაგი. შეკრებილთა უმრავლესობას ვლადიმერ ილიას-ძე არ ენახა ივლისის დღეების შემდეგ, და აი, მოვიდა ბელადი. როცა ოგი მოვიდა, ფეხზე ადგნენ, სიხარულით შეხვდნენ. ყველას უნდოდა მისთვის ხელი ჩამოერთმია, გაეგო, თუ რაგორ გრძნობდა თავს. ყველანი გაოცებული იყვნენ ლენინის შეცვლილი შესახედაობით: მას არ ჰქონდა წვერ-ულვაში, თავზე ჰქონდა პარიკი, რომელსაც ხშირად ჩვეულებისაებრ ორივე ხელით ისწორებდა.

ვ. ი. ლენინს აცნობეს, თუ როგორ მზადდებოდა აჯანყება, სახელდახელოდ გამოკითხა რა ყველას, ვლადიმერ ილიას-ძე პირდაპირ საქმეზე გადავიდა.

სხდომაზე ლენინმა გააკეთა მოხსენება მიმდინარე მომენტზე და დასამტკიცებლად შეიტანა რეზოლუცია შეიარაღებული აჯანყების შესახებ. აი სტენოგრამები ამ ისტორიული რეზოლუციიდან: „...ცენტრალური კომიტეტი აღიარებს, რომ შეიარაღებული აჯანყება გარდუვალია და სავსებით მომწიფებულია, და წინადადებას აძლევს პარტიის ყველა ორგანიზაციას იხელმძღვანელონ ამით და ამ თვალსაზრისით განიხილონ და გადაყვიტონ ყველა პრაქტიკული საკითხი...“

ზინოვიევი და კამენევი გამოვიდნენ შეიარაღებული აჯანყების ლენინური რეზოლუციის წინააღმდეგ. ისინი ამბობდნენ, რომ მუშათა კლასს არ შესწევს ძალა სოციალისტური რევოლუციის მოსახდენად. ბოლშევიკები ვერ შეძლებენ ხელისუფლების აღებას, აჯანყება განწირულია ჩასაფშვავადო. ტროცკის ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე არ მიუცია ბმა აჯანყების რეზოლუციის წინააღმდეგ, მაგრამ იგი მოითხოვდა აჯანყების გადადებას სბპ-ების II ყრილობის მოწვევამდე. ძნელი არ იყო იმის გაგება, რომ ეს პრაქტიკულად აჯანყების ჩაშლას გამოიწვევდა, რადგან დროებითი მთავრობა მიიღებდა შესაძლებლობას ეკ ეინო რახიას ბინაში, იქვე ახლოს.

სხდომიდან ლენინთან ერთად გამოვიდა ფ. ე. ძერჟინსკი. მან გაიძარცა თავისი ლაბადა და ვლადიმერ ილიას-ძეს მოასხა. ლენინი უარს ამბობდა, მაგრამ ფელიქს ედმუნდის-ძე თავისას მაინც არ იშლიდა.

— ნუ უარობთ! — ეუბნებოდა ის.— კეთილინებეთ და მოისხით ლაბადა. წინაადმდგ შემთხვევაში არ გაგიშვებთ.

ლენინი დათანხმდა და ლაბადა მოისხა. იგი წარმოადგენდა ამასთან ერთგვარ ნიღაბს ჯაშუშთა მიმართ. ტანს ფარავდა და ვინ იცის, ეგებ სწორედ მან ნიღაბი ჩაიცვა ლენინ. ეს ლაბადა ინ ლენინ ერ-ერ ინ ინ ინ

გელით სპექტაკლებზე

ᲓᲦᲔᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲒᲐᲡᲢᲠᲝᲚᲔᲑᲡ ᲘᲬᲧᲔᲑᲡ ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲓᲠᲐᲛᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლები თბილისელმა მაყურებლებმა 10 წლის წინათ ნახეს. მაშინ განსაკუთრებული წარმატება ხვდა ქართულ სცენაზე პირველად ბათუმის თეატრში განხორციელებულ სოფოკლეს ტრაგედიას „ოიდიპოს მეფეს“. პრესამ და თეატრალურმა საზოგადოებრიობამ მაღალი შეფასება მისცეს სპექტაკლის მონაწილეებს და გულთბილად გამოეხმაურნენ ოიდიპოსის როლის შემსრულებელს საქართველოს სსრ სახალხო არტისტს ი. კობალაძეს.

მსოფლიო დრამატურგიის შედევრის ესოდენ მაღალმხატვრულად დადგმა ქართულ თეატრალურ ტრადიციებზე აღზრდილი ნიჭიერი კოლექტივის საშემსრულებლო კულტურის მაღალ დონეზე მეტყველებს. ეს ბუნებრივია. დასში ხომ შაშინაც და ასლაც მუშაობენ ის მსახიობები, რომლებიც 35 წლის წინათ დიდი ქართველი რეჟისორის სანდრო ახმეტელის ინიციატივით აკაირიდან რუსთაველის თეატრის სტუდიაში გაეგზავნენ და იქ დაეუფლნენ არტისტულ ხელოვნებას. შემდეგ მათ შეემატნენ ბათუმის თეატრში აღზრდილი გამოჩენილი მუშაკები, რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებული ნიჭიერი ახალგაზრდობა.

და აი დღეს, ათი წლის შემდეგ ბათუმის თეატრი კვლავ ხვდება თბილისელებს. ეს შეხვედრა მით უფრო პასუხსაგები და სასიხარულოა, რომ იგი დიდი დღესასწაულის წინ ეწყობა.

შემოქმედებითი კოლექტივი გრძნობდა ამ დიდ პასუხისმგებლობას და გაცხოველებით ემზადებოდა გასტროლებისათვის...

ᲓᲦᲔᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲒᲐᲡᲢᲠᲝᲚᲔᲑᲡ ᲘᲬᲧᲔᲑᲡ ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲓᲠᲐᲛᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

ჩვენთან წარმატებით გრძელდება თეატრში დამკვიდრებული ტრადიცია—ბათუმში მომუშავე მწერლების ჩაბმა შემოქმედებითს მუშაობაში. ბათუმში დაიდგა პირველად დრამატურგ. ვ. კანდელაკის პიესები, პ. ლორიას, ა. შერვაშიძის დრამატურგიული ნაწარმოებები, პოეტების ფრ. ხალვაშის, გ. სალუქვაძის დრამები, ალ. ჩხაიძის, შ. როყვასა და ალ. სამსონიას ლირიკული კომედიები.

ახლანდელ საგასტროლო რეპერტუარში შეტანილია ა. სამსონიას პიესა „ᲨᲣᲥᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ“ (რეჟისორი თ. აბაშიძე, მხატვრები ა. ფილიპოვი, მ. მამუკაძე. მუსიკა გ. ყანჩელისა). ეს პიესა ცოცხლად ასახავს ჩვენი ახალგაზრდობის ცხოვრებას, მის სულიერ სამყაროს, მისწრაფებებს.

საგასტროლო რეპერტუარშია და საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლისთავს ეძღვნება საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსა და მწერალთა კავშირის მიერ გამოცხადებულ საიუბილეო კონკურსში გამარჯვებული პიესა ა. გეწაძის „ᲬᲘᲜᲓᲚᲘᲡᲔᲑᲘ ᲯᲝᲯᲝᲜᲘᲡᲐ“ (რეჟისორი თ. აბაშიძე, მხატვრები ო. ქორაკიძე, ა. სლოვინსკი, ი. ჩიკვაძე. მუსიკა გ. ყანჩელისა).

ბათუმის თეატრმა ერთ-ერთმა პირველმა დადგა ნ. დუმბაძისა და გ. ლორთქიფანიძის კომედია „ᲛᲔ, ᲑᲔᲑᲘᲐ, ᲘᲚᲘᲙᲝ ᲓᲐ ᲘᲚᲐᲠᲘᲝᲜᲘ“ (რეჟისორი შ. ინასარიძე, მხატვარი გ. ცერაძე, მუსიკალური გაფორმება გ. ნოდიეიელისა). გასტროლებისათვის სპექტაკლი განახლდა, ვფიქრობთ, თბილისელი მაყურებელი უკმაყოფილო არ დარჩება.

კლასიკური დრამატურგიიდან ნაჩვენები იქნება შტეფან ცვაიგის „ᲡᲐᲑᲚᲘ ᲖᲔᲓᲘᲡ ᲞᲘᲠᲘᲡ“ (რეჟისორი თ. აბაშიძე, მხატვარი ა. ფილიპოვი).

ძვირფასო თბილისელებო, გელით ჩვენს სპექტაკლებზე!

შ. ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲫᲔ.

ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრის დირექტორი.

ᲠᲔᲞᲝᲠᲢᲐᲟᲘ ᲝᲪᲓᲐᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘᲓᲐᲜ

ᲐᲛ ᲡᲘᲛᲐᲦᲚᲔᲖᲔ თავს ისე გრძნობთ, როგორც ალპინისტი. კაკაბასორნი, მზე და ღრუბლები ისე ახლოა, ასე გგონია ხელით მისწვდები. აქ თითქოს ცისფერი ტბა ამოუტანიათ და მარმარილოს აუზში ჩაუსვამთ, მოგეურეგებთ — ძრის აბაზანის მიიღებთ ბანაობის შემდეგ. იქნებ მთლიერტი, ფუნჯი და საღებავები მოიცარჯოთ. აგერ ნარიყალაზე აღმართული დედა ქართველია, აქვეა მთაშინდა, მტკვარი, ამბობენ, ბებერ მუზეუს სიმაღლე უყვართო... ერთი სიტყვით, ჩვენებური ცათამბჯენი დუდაქალაქის ამფითეატრში აღიძართა და კარგად შეესისხლხორცა თბილისს ღანდაფტს.

სულ ცოტა ხნის წინათ დაშალეს ვეებერთელა ბაზე და სადღაც ძველებლობაზე წაიღეს. იქნება, აი იქ, მტკვრის ნაოლაბა ბოეზიის მემორიალის სამშენებლო უბანში ან ოცდაორსართულიანი სასტუმროს ხარაჩოებთან დადგეს საბერთალოზე.

მწვანე ტუფის სასასლეში დიდი ალოობაა. ფუტკრის სკასა ჰგავს აქაურობა. ჩქარობენ მშენებლები, დღეასასწაული გვიახლოვდება.

მუშებმა დიდი თეთრი ასოები ძლივს ამოიტანეს 22-ე სართულზე, რომელზეც სულ ცოტა ხანში სასახლის ქონგურზე ბტრედმეიგით გაპწკრიალდნენ. აქ იკითხება ამაღლებული სახელწოდება — „ᲔᲕᲠᲘᲐ“....

მუშობის რიტმი ისე დამუხტულია, რომ თვალყურის დევნება გაგიჭირდებათ.

ჯერ კიდევ მაშინ, როცა შენობის მხოლოდ კონტურები იყო მოხაზული, ჩვენ ვწერდით მომავალი ცათამბჯენის დიდ პერსპექტივებზე. ახლა სასიამოვნოა ინის შეგრძნება, რომ არქიტექტორის ჩანაფიქრმა ფრთები შეისხა. სასტუმროს პრაქტიკული და ესთეტიკური მხარე მსოფლიო სტანდარტების დონეზე აღმოჩნდა.

რესტორანისა და კაფეს თეთრ კედლებზე ოსტატები ბარელიეფს ტვიფრავენ. ქართული მარმარილო, ტუფი სართულებს მიუყვება. ფერი ფერს ეჯიბრება, ჩუქურთმა-ჩუქურთმას. შეკიდულ ჭერში უჩინარი ნათურები მოხტაკედება. სტალაქტიტებად ჩამოიღვენთება ჭაღები. ხე, თეთრი ტყავი, ქედურობა, კერამიკა სამკაულებია, რომლებითაც რთავენ შენობას, როგორც პატარძალს.

ფრთხილად! ვესტიბიულის შემინვა მიმდინარეობს. მინებს ვეებერთელა რკინის ჩარჩოებში ათავსებენ. თვალსაჩინოებისათვის უფრო კოხტურუნლად მოჭახსენებთ. მინის ზომა 4 მეტრი და 30 სანტიმეტრი გამრავლებული 3 მეტრზე, სისქით კი 8 მილიმეტრია. ამ სამუშაოს შესრულება დიდ დაკვირვებასა და სიფრთხილეს მოითხოვს. ეს იციან სოსო მანჯავიძის ბრიგადის წევრებმაც. ქართული ცათამბჯენის მშენებლობაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს მინა შეადგენს. ამიტომაც არის ასეთი გამჭვირვალე და პაეროვანი.

— სოსო, მოდი აქ! —გასძახა მუშაობაში გართულ მანჯავიძეს ინჟინერმა თამაზ რამიშვილმა. გარეთ ექსკავატორი ძველი სახლის დანგრეულ კედელს ანგრევს. ღრუბელივით შემოიჭრა მტვრის კორიანტელი ვესტიბიულის ყვეებერთელა სარკმელში. თვალის გასვლა გვეჭირს. ამ დროს განაწყენებული ბრიგადირი მოგვიახლოდა, ჯერ ალმაცერად შეგვათვალიერა, მერე გაიღიმა და დიდი დაკოერებული სელები გაშალა.

— აბა მე რა უნდა ვთქვა, აგერ ჩვენა და აგერ ბიჭების ნახელავი.

იგრძნობა, რომ ობიექტზე ენთუზიასტების მთელი არმია შრომობს. მათი მოცდენა არ შეიძლება. სპეტომბრო დღეკასწაული მოაბიჯებს. კალენდარივით იფურცლება დღეები. უნდა იჩქარონ. ჩქარობენ კიდევაც. სიმონ მიზრახის მეებავთა ბრიგადა უკანასკნელ სამუშაოს ამთავრებს. მერე რა კარგი ფერები შეურჩევიათ. ფაქიზად მუშაობენ, როგორც ფერმწერები. ლიფტებს ჯერ მხოლოდ მუშები ამოჰყავთ. მათს მექანიზმსაც ტექნიკურ განყოფილებაში პატარა ბიჭი ეფიმენკო აწესრიგებს.

სულ ცოტა ხნის წინათ, მოვიდა მშენებლობაზე გიორგი ჩიკაშუა, მაგრამ უკვე ბევრი რამის გაკეთება მოასწრო. საოცრად მოძრავი, ენერგიული. მისი მეჭაქრე ხმა ყველა სართულზე ისმის. არის მისი შრომის ნაყოფიც. მეცხრამეტე, მეოცე, ოცდამეერთე, მეშვიდე, მერვე და სხვა სართულები თითქმის სრულ წესრიგშია. ონკანებში წყალი ხმიანობს. დაგებულია ათასფერი ნოხები. საცხოვრებელ ოთახებში შვედური ავეჯი დაუდგამთ. ოცდამეერთე სართული მხოლოდ სალონებს უჭირავს. იქ სულ მალე აგიზგიზდება ქართული ბუხრები. ნომრების ინტერიერი დიდი გემოვნებით არის გადაწყვეტილი. სადა, ლაკონიურია ყველაფერი. დასუფთავების სამუშაოებს ათისთავი კარგად უძღვება. ახლა ეს საქმე პირველხარისხოვანია.

არქიტექტორი ტ. კალანდარიშვილი თითქმის ყოველდღე მოდის აქ. ის განსაკუთრებით განიცდის ყველაფერს. ეს გასაგებიც არის. ასეთი სასტუმრო ხომ დედაქალაქის მშენებლობის ყველაზე საპატიო უბანია. ლილაკს, მისი გაცოცხლებული პროექტი დიდ სამსჯავროზე წარსდგა. ვფიქრობთ შეფასება მაღალი და საპატიო იქნება.

დაუბრუნდეთ ისევ მშენებლებს, ვალერიან მაჩაბაშვილი, სერგო ხომასურიძე, ვიქტორ ეფიმენკო სხვადასხვა საპასუხისმგებლო უბნებზე იდგნიან. ყველას ჩამოთვლა მორს წაგვიყვანდა. ისინი ბევრნი არიან. სასტუმროს შეძთგარნს ასუფთავებენ. აქ. ბაღი გაშენდება, ქართული ბაღი. მტკვრის ნაპირიდან ამოუყვანა ტერასები. როგორ დამშვენდება აქაურობა.

ახლა რამდენიმე სიტყვა ცხობარის სახით. მეექვსე სართულიდან მეოცე სართულამდე საცხოვრებელი ოთახებია. მეხუთე სართულზე ადმინისტრაცია მოთავსდება, მეოთხეზე — ვესტიბიული, მესამეზე — კინოთეატრი, ბარი, იმუშავებს ოთხვანყოფილებიანი სწრაფმავალი ლიფტი.

ჩვენი ცათამბჯენი თბილისელებმა შეიყვარეს, მაგრამ უფრო გავიხარებთ, თუ მას ჩვენი სტუმრებიც შეიყვარებენ, რადგან ქართველი კაცისათვის იმაზე სასიამოვნო რა იქნება, როგორც სტუმრის სახეზე დანახული კმაყოფილი ღიმილი.

კეთილი იყოს თქვენი ფეხი ჩვენს სახლში, მეგობრებო!

ᲜᲐᲜᲐ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ,
ᲑᲔᲚᲐ ᲓᲣᲠᲒᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲖᲔ: (მარცხნიდან) უფროსი ოსტატი ვ. მაჩაბაშვილი, მებათქაშე ე. კოზლოვი, მლესავი ნ. ფილიშვილი, ათისთავი ვლ. ჩიკაშუა, ფილების ამწყობი ა. მულაძე, დურგალი ბ. ნესტეროვი.
ფოტო მ. შოშიაშვილისა.



ᲗᲔᲛᲐᲮᲐᲠᲘ ᲠᲐᲓᲘᲝᲓᲦᲔ

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ“

ᲧᲝᲕᲔᲚᲘ დღე გვაახლოებს დიად თარიღს — საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 50 წლისთავს. ზეიმის შესახვედრად ემზადებიან ჩვენი რესპუბლიკის ქალაქები და სოფლები.

დღეს, 22 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ, საქართველოს რადიო აწყობს თემატურ რადიოდღეს — „ქართული საბჭოთა სოფელი“.

რადიოგადაცემებში გაეცნობით, თუ როგორ აყვავდა და გადაიფურჩქნა საბჭოთა ხელისუფლების დროს ჩვენი რესპუბლიკის სოფლები. 08.30 საათზე რადიოდღე გაიხსნება გადაცემით — „საქართველოს სოფლის მეურნეობა ოქტომბრის 50 წლისთავზე“. მიკროფონთან გამოვლენ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეცნიერების, პროპაგანდისა და სასოფლო-სამეურნეო განათლების მთავარი სამმართველოს უფროსი გიორგი ბადრიშვილი, ამავე სამინისტროს ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამმართველოს უფროსი პროკოფი ჯორბენაძე და მეგვინახეობისა და მებაღეობის სახელმწიფო მეურნეობების ტრესტის მმართველი ვახტანგ მირიანაშვილი.

„საიუბილეო წლის რთველი“— ამ სათაურით 13.00 საათზე გადაიცემა რადიონარკვევი ოკამელ მეგვინახეთა წარმატებაზე.

14.45 საათზე დაიწყება გადაცემა „კოლმეურნეობის დროშას ლენინის ორდენი ამშვენებს“, რომელიც ეძღვნება ფოთელ წყაროს რაიონის ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობას. მიკროფონთან გამოვა ამ კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ნიკო მამაიაშვილი.

16.50 საათზე მიკროფონთან გამოვა მახარაძის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი მიხეილ ორაგველიძე. წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობას დიდი მეგობრობა აქვს ჩეხოსლოვაკიელ სოფლის მეურნეობის მუშაკებთან. ჯაფარიძელთა დელეგაციი ამას წინათ იყო ჩეხოსლოვაკიაში. 18.50 საათზე გადაცემული იქნება ინტერვიუ ჯაფარიძის კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან, სოციალისტური შრომის გმირ ნიკოლოზ ყოჩაშვილთან ჩეხოსლოვაკიელ მეგობრებთან ყოფნის შთაბეჭდილებებზე. 19.30 საათზე მოისმენთ საიუბილეო რადიოჟურნალს „ჩვენ სოფელს“.

დღეს მოეწყობა კიდევ ბევრი სხვა საინტერესო რადიოგადაცემა. გადმოცემული იქნება ნარკვევები ჩვენი რესპუბლიკის განახლებულ სოფლებზე, სოციალისტური შრომის გმირებზე. საკოლმეურნეო თვითმოქმედი ანსამბლების კონცერტები.

გიწვევთ ყველას რეპროდუქტორებთან და რადიომიმღებებთან.

ᲗᲔᲛᲐᲮᲐᲠᲘ ᲠᲐᲓᲘᲝᲓᲦᲔ

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ“

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲗᲐ კავშირი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲙᲘᲡ განყოფილება აწყობენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ

ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲡᲔᲡᲘᲐᲡ.

სესია გაიმართება 24 ოქტომბერს ხკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის საქტო დარბაზში (რუსთაველის პრსპექტი, 29). დასაწყისი დილის 11 საათზე.

ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲡᲔᲡᲘᲐ

ᲐᲛ დღეებში საქართველოს კომპარტიის ცხაკიის რიკომმა და საზოგადოება „ცოდნის“ გამეგობამ ნოსირის სასოფლო კულტურის სახლში მოაწყეს გამსვლელი სამეცნიერო სესია, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი.

სამეცნიერო სესია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცხაკიის რიკომის მდივანმა მ. ქვარცხავამ. სამეცნიერო სესიაზე მოსმენილ იქნა მეცნიერებათა კანდიდატების ა. ესაკიას, გ. კუპრეიშვილის და დ. ქორიძის მოხსენებები.

Ს. ᲙᲣᲠᲐᲕᲐ.

ᲡᲐᲛᲮᲠᲗᲐᲨᲠᲘᲡᲝ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲣᲐᲠᲘ ᲗᲥᲕᲐ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 21 ოქტომბერი. (საკადესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯონსონმა უარი თქვა გამოვიდეს ამერიკის შტატების გუბერნატორთა ყოველწლიურ კონფერენციაზე. თეთრი სახლის წარმომადგენელმა პრესის საკითხებში კრისტიანმა გუშინ განაცხადა, რომ ჯონსონმა უარყო გუბერნატორთა მიწვევა. თუმცა, თეთრ სახლს არ განუმარტავს ასეთი უარის მიზეზი, მაგრამ როგორც ჩანს, იგი დაკავშირებულია იმასთან, რომ რესპუბლიკელმა გუბერნატორებმა გაილაშქრეს ამერიკის შეერთებული შტატების საგარეოპოლიტიკური კურსის წინააღმდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

პრეზიდენტ ჯონსონთან დაახლოებულმა ტეხასის შტატის დემოკრატმა გუბერნატორმა კონფლიმ კონფერენციაზე შეიტანა რეზოლუცია იმის შესახებ, რომ მიიწონონ „ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა სამხრეთ ვიეტნამის დაცვის შესახებ“. მაგრამ რესპუბლიკელმა გუბერნატორებმა უარყვეს ეს რეზოლუცია. ამან ოფიციალური ვაშინგტონის აშკარა უკმაყოფილება გამოიწვია.

ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲞᲔᲙᲘᲜᲘᲓᲐᲜ მიღებული ცნობები მოწმობენ, რომ მაო ძე-დუნის ჯგუფმა „კულტურული რევოლუციის“ შემდგომი განხორციელება არსებითად დაკისერა შეიარაღებულ ძალებს. ჩინეთის არმია დღემდეც დიდ როლს ასრულებდა შიხაურ პოლიტიკურ ბრძოლაში. ჯარის ნაწილები იგზავნებოდა ხუნყიბინთა მისაბეჭლებლად ყველგან, სადაც უჭირდათ. ისინი იგზავნებოდნენ „უწესრიგობის“ აღმოსაფხვრელად და ახმობდნენ მაო ძე-დუნის მტრების წინააღმდეგობას. ისინი „აღდგენდნენ მშვიდობას“ „წითელ დამცველთა“ მტრულ ორგანიზაციებს შორის, აიარაღებენენ ზოგიერთებს, ნაკლებ საიმედოებს კი პირიქით იარაღს ართმევდნენ. დიდ ქალაქებში „მაოს მტრების“ გასამართლებას აგრეთვე მხარს უჭერდნენ ჯარის ნაწილები.

ახლა მაო ძე-დუნის ახალი დირექტივები აფართოებენ არმიის როლს ხელისუფლების ახალი ორგანოების შექმნაში და მთავარ როლს აკუთვნებენ მას „მასების აღზრდაში მაოს იდეების სულისკვეთებით“.

ამ ბოლო დღეებში პეკინში კვლავ გაიზარდა დაძაბულების რიცხვი, რომლებშიც ხუნყიბინები ლაპარაკობენ მაო ძე-დუნის მოწინააღმდეგეებს. იმათ შორის, რომელთა წინააღმდეგ მიმართულია ეს ბერიაში, არიან ლიუ შაო-ცი, დენ სიაო-პინი და სხვა თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწენი, რომლებიც დიდი ხანია ჩამოშორეს საქმეებს. იაპონელმა სოციალისტმა და მაო ძე-დუნის თაყვანისმცემელმა, რომელიც ამას წინათ დაბრუნდა პეკინიდან, განაცხადა, რომ ეს შეიოსხული ხელმძღვანელები კვლავ ცხოვრობენ ჯუანხაში (პეკინის დასურული რაიონი) და ხელფასსაც კი ღებულნ და რომ მათ ოფიციალურად მოახსენიან და განდევნიან მხოლოდ მაშინ, როცა „ყველა იმ აზრისა იქნება, რომ ეს დაჯგუფება ნამდვილად ცუდია“.

(საკადესი. 20 ოქტომბერი).

ᲢᲔᲠᲠᲝᲠᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲔᲓᲔᲑᲘᲐᲜ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 20 ოქტომბერი, (საკადესი). ამერიკის შეერთებულ შტატებში ᲛᲧᲝᲪ ᲙᲣᲑᲚᲘ ᲙᲝᲜᲢᲠᲐᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲐᲨᲙᲐᲠᲐᲓ ᲘᲙᲕᲔᲜᲜᲘᲜ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲗᲐᲜ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲔᲑᲐᲡ. აქ გავრცელებულ კომუნიკეში ისინი აღიარებენ, რომ მათმა აგენტებმა ფარულად შეიტანეს დაყოვნებული მოქმედების ბომბები კუბის მონრეალის სავაჭრო მისიის შენობაში. იმ ვარაუდით, რომ ბომბები აფეთქდებოდა „ექსპო-67“ გამოფენაზე ჩამოსული 300 თანამშრომლის თათბირის დროს. საბედნიეროდ, ბომბები აფეთქდა, როცა შენობაში არავინ არ იყო, და მხოლოდ შენობა დააზიანა.

ᲠᲔᲞᲝᲠᲢᲐᲟᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲚᲘᲓᲔᲠᲗᲐ ᲯᲒᲣᲤᲨᲘ ᲡᲘᲛᲭᲘᲓᲠᲝᲕᲔᲐ

ᲢᲝᲙᲘᲝᲨᲘ გრძელდება საზონათაშორისო ტურნირი ჭადრაკში. გუშინ მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. **ᲑᲝᲠᲝᲛᲐᲛ** მოუგო **ᲛᲐᲒᲜᲘᲡᲐᲠᲡᲬᲠᲘᲜᲔᲡ, ᲒᲘᲚᲘᲐᲛᲐ—ᲑᲝᲚᲕᲘᲜᲘᲡ.** **ᲛᲔᲘᲜᲑᲘᲡᲐ** და **ᲑᲐᲠᲪᲐᲡ** პარტია კვლავ გადადო.

ლიდერები არიან **ᲘᲕᲙᲝᲕᲘ** და **ᲤᲘᲨᲔᲠᲘ,** რომლებსაც ორნახევარ-ორნახევარი ქულა აქვთ სამიდან. ამდენივე ქულა აქვთ, მაგრამ ოთხიდან **ᲒᲘᲡᲚᲘᲜᲘᲡ, ᲒᲔᲚᲔᲠᲗᲡ, ᲒᲘᲠᲜᲡ, ᲑᲝᲠᲗᲡ, ᲚᲐᲠᲡᲔᲜᲡ, ᲛᲐᲢᲐᲜᲝᲕᲘᲩᲡᲐ** და **ᲠᲝᲠᲢᲘᲜᲡ.**

ᲛᲪᲘᲠᲔ ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲐᲓᲐᲖᲔ

ᲛᲔᲥᲘᲙᲝᲡ სასპორტო ბაზებზე გრძელდება „მცირე ოლიმპიადის“ პროგრამით გათვალისწინებული შეხვედრები. ზოგიერთ სახეობაში უკვე ამოიწურა ასპარეზობა, გამოვლინდნენ პრიზიორები. ასეთია რიგებს მეეკუთვნება ტანვარჯიში, ქალთბურთი, თანამედროვე ხუთჭიდი. სტარტი აიღეს მსროლელებმა, მოფარიკავეებმა, მოჭიდავეებმა, ფინიში აქვთ წყალბურთელებს, ძალოსნებს, აფროსნებს.

ტყვიის მსროლელთა სტარტზე გამოვიდნენ 17 ქვეყნის წარმომადგენლები. პისტოლეტის სროლაში წარმატება ხვდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენს **ᲰᲔᲚᲛᲣᲗ ᲐᲠᲢᲔᲚᲔᲗᲡ,** რომელმაც 560 ქულით გაიმეორა ოლიმპიური რეკორდი და პირველი ადგილი დაიკავა. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ლენინგრადელი **ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲘᲠ ᲢᲝᲛᲝᲚᲝᲕᲘᲜᲘ** მეორე იყო. იგი გამარჯვებულს მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩა.

შეუპოვარი ბრძოლით გამოირჩევა მოფარიკავეთა შეხვედრები. პირველ დღეს რაპირით ასპარეზობაში უძლიერესს ტიტული დაიმსახურა პოლონელმა **ᲐᲓᲐᲛ ᲚᲘᲡᲔᲕᲡᲙᲘᲗ.** საბჭოთა მოფარიკავემ **ᲒᲔᲠᲜᲐᲚ ᲨᲕᲔᲜᲙᲝᲕᲛᲐ** მეოთხე ადგილი დაიკავა.

ბრძოლაში ჩაებნენ აგრეთვე მოჭიდაველები. ფინალური შეხვედრები გაიმართება დღეს. წარმატებით ხასიათდება შტანგისტთა პაექრობა. სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაში გამხარვებულმა ქვემძიმე წონის **ᲘᲝᲜ ᲢᲐᲚᲢᲡᲘᲜᲐ** ახალი მსოფლიო რეკორდი დამყარა — აკრა 194 კილოგრამი, ამასთანავე სამეჯიდი გაიმეორა ოლიმპიური რეკორდი — 492,5 კილოგრამი.

მორიგ მატჩში საბჭოთა წყალბურთელებმა ადგილი გამარჯვება მოიპოვეს მექსიკის გუნდთან 9:0. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წყალბურთელებმა მოუგეს კუბის გუნდს 10:3.

ᲛᲔᲠᲔᲕᲐᲜᲡᲙᲘᲓᲐᲜ — ᲑᲐᲗᲣᲛᲐᲛᲓᲔ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ. დიდი ოქტომბრის 50 წლისთავს მიუძღვნეს საბჭოთა მესაზღვრეებმა და სასაზღვრო რაიონების კომკავშირელებმა მასობრივი ესტაფეტა.

დასაალეთის საზღვრის გასწვრივ მომავალმა ესტაფეტამ ბათუმში მოაღწია. მონაწილეებს საზეიმოდ მორთული დახვდა ლენინის მოედანი. ანთებული ჩირაღდანი მეზღვაურებმა სოხუმიდან გემით ბათუმში ჩამოიტანეს. ესტაფეტის მონაწილეებს მიესალმა პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ლ. უკლება.

საზეიმო შეხვედრის შემდეგ სტარტი მიეცა შემდგომ ეტაპს. მესაზღვრეთა და ბათუმის რაიონის კომკავშირელთა ჯგუფმა ანთებული ჩირაღდანი გადასცა სომხეთის მესაზღვრეებს, საიდანაც ესტაფეტას მიიტანენ ფინეთამდე — ბაკომდე.

Მ. ᲒᲝᲠᲒᲘᲚᲐᲫᲔ,
ᲡᲐᲥ. ᲙᲠᲬ.

ᲡᲠᲣᲚᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

▲ **ᲑᲔᲚᲒᲠᲐᲓᲨᲘ** მიმდინარეობს საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი. უკვე გათამამდა ხუთი ტური. ლიდერია გროსმაისტერი რ. **ᲮᲝᲚᲛᲘᲜᲘ,** რომელსაც 3,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს.

▲ „Ა“ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ მეორე ჯგუფის ფეხბურთელთა კოლექტივებმა დაამთავრეს ასპარეზობა ქვეჯგუფებში. თბილისის „ლოკომოტივმა“ 38 თამაშიდან შეგროვებული 39 ქულით მეორე ადგილი დაიკავა, „ტყიბულის „შეკა ტემ“ — 37 ქულით მეთერთმეტე ადგილი, ბათუმის „დინამომ“ — 2 ქულით მეთვრამეტე ადგილი.

▲ **ᲒᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ** დაიწყო საიუბილეო საჭადრაკო ტურნირი. ტურნირში მონაწილეობენ მსოფლიოს ექს-ჩემპიონი **ვ. სმისლოვი,** გროსმაისტერები **ლ. პოლუგაევსკი, ს. ფლორი, ვ. სმეგანი, ა. ლილიენტალი, ლ. შამკოვიჩი, ა. ანტონინი, ვ. ლიბერზონი** და სხვ.

▲ **ᲛᲘᲜᲓᲘᲜᲐᲠᲘᲜᲘᲡ** ფიზიკურტურის ინსტიტუტების საკავშირო სპარტაკიადა. ზოგიერთ სახეობაში ასპარეზობა უკვე დამთავრდა. კიევში ჩვენ ფრენბურთელმა ვაჟებმა პირველი ადგილი დაიკავეს, ქალებმა — მეორე.

ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ

ᲘᲣᲛᲝᲠᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲔᲥᲒᲘᲞᲢᲝᲚᲝᲒᲘᲡ ᲓᲘᲓᲘᲜᲯᲘ

△ **ᲛᲝᲮᲣᲪ** მიხაელს დაბადების 80 წელი შეუსრულდა. თანასოფლელებმა გადაწყვიტეს საიუქრით გაეხარებინათ მოხუცი.

— მოდი, ერთი კასრი ღვინო მოვართვათ, — თქვა ერთმა, — ღვინო მოხუცს ძალ-ღონეს შემატებს...

წინადადება მოიწონეს და გადაწყვიტეს თვითეულს დიდ კასრში თითო ლიტრი ღვინო ჩაესხა.

კასრი სოფელში ჩაშოატარეს და, როგორც კი ავსებს, დიდი პატივით მიართვეს მოხუცს.

მიხაელი დიდად გაახარა თანასოფლელთა პატივისცემამ.

„დიდი მადლობა, მეზობლებო. ამდენ ღვინოს მარტო ხომ ვერ დალევ. ხვალ ვახშამზე მეწვიეთ... წავიქეიფოთ!“ დაპატიჟა მეზობლები მოხუცმა.

მეორე დღეს ყველა უკლებლივ გაოცებული ელოდა ბებერ მეღვინეს. ბებერ მეღვინეს ალბათ ეგონა, ალბათ ეფიქრა... ეს ხომ თანასოფლელებს 80 წელია იცნობდა.

△ **ᲠᲝᲪᲐ** მძიმე შრომით დალილი ინშტაინი გვიან ღამით შინ დაბრუნდა. შესასვლელში დარაჯს მოულოდნელად შეეკითხა:

— მითხარით, გეთაყვა, სად ცხოვრობს პროფესორი აინშტაინი?

— დიდი სიამოვნებით, მაგრამ... თქვენ ხომ თვითონ ბრძანდებით პროფესორი აინშტაინი?!

— რასაკვ